მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის

ქ. თბილისი 3 ივნისი 2014 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური), წარმოდგენილი მისი უფროსის ირაკლი გვარამაძის სახით და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – აღსრულების ეროვნული ბიურო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - ვლადიმერ გურგენიძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" ქვეპუნქტისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურისგან მოითხოვოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში საჭირო ინფორმაცია.
2. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილ შესაბამის მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იქნას იმ პირის დასახელება/სახელი-გვარი და პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, სააღსრულებო წარმოების ნომერი, რომელზეც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება. პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებულია სააღსრულებო წარმოებასთან, ეკისრება სააღსრულებო ბიუროს.
3. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში შემოსავლების სამსახური კისრულობს ვალდებულებას, შესაბამისი პროგრამის საშუალებით, აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოთხოვნაში დაფიქსირებულ პირთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებული მონაცემები ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ, კერძოდ:

ა.ა) თანხის მიმღების დასახელება/სახელი-გვარი, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი;
ა.ბ) თანხის მიმღების მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი (ასეთ მონაცემთა არსებობის შემთხვევაში);
ა.გ) ბოლო განაცემის განხორციელების თარიღი, განაცემის სახე და ოდენობა;
ა.დ) ბოლო განაცემის განმახორციელებელი დამქირავებლის/თანხის გამცემის დასახელება/სახელი-გვარი, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული ან/და ფაქტობრივი მისამართი (ასეთ მონაცემთა არსებობის შემთხვევაში);

საქმისწარმოების სამმართველო

ა.ე) ბოლო განაცემის შესაბამისად დაკავებული გადასახადის თანხა;
ა.ვ) რამდენიმე დამქირავებლის არსებობის შემთხვევაში, თითოეულთან მიმართებაში დაფიქსირებული ამ პუნქტის „ა.გ - ა.ე" ქვეპუნქტების შესაბამისი ინფორმაცია.

ბ) ინფორმაცია ფიზიკური პირის მიერ წარდგენილი ბოლო წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის მიხედვით დაფიქსირებული დასაბეგრი შემოსავლის შესახებ.

გ) ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების ოდენობის შესახებ;

დ) ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის სახელზე რეგისტრირებული საკონტროლო სალარო აპარატ(ებ)ის შესახებ, კერძოდ: საკონტროლო სალარო აპარატ(ებ)ის სარეგისტრაციო ნომერი და უკანასკნელი რეგისტრაციის მისამართი.

ე) ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ბოლო საანგარიშო პერიოდის ქონების გადასახადის დეკლარაციის შესახებ, კერძოდ:
ე.ა) დეკლარაციის წარდგენის თარიღი;
ე.ბ) დეკლარაციაში მითითებული ქონების დასახელება, მდებარეობა, და გადამხდელის მიერ თითოეულ ქონებზე (გარდა მიწისა) დაფიქსირებული საბაზრო ფასი (ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება მხოლოდ იმ პირის ქონების შესახებ, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება);

ვ) ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის მიერ უკანასკნელად განხორციელებული საქონლის იმპორტის შესახებ, კერძოდ: იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებული საქონლის დასახელება, ოდენობა, საქონლის საბაჟო ღირებულება და იმპორტის განხორციელების თარიღი.

4. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის ვებ-სერვისების საშუალებით.
5. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილების შეტანა ხორციელდება მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების გზით.
6. ინფორმაციის მიწოდებისას ნებისმიერი ტექნიკური შეფერხების წარმოშობის შემთხვევაში, მხარეები იღებენ ვალდებულებას დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ხარვეზი.
7. მემორანდუმის თითოეული მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს მემორანდუმი შეწყვეტის თარიღამდე მინიმუმ 2 (ორი) კალენდარული თვით ადრე წერილობითი შეტყობინების მემორანდუმის მეორე მხარისათვის გაგზავნის გზით.
8. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

9. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
10. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.
11. მემორანდუმი დადებულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შემოსავლების სამსახური“

სსიპ – შემოსავლების სამსახური
ქ. თბილისი, 0114, ვ. გორგასლის N16
საიდენტიფიკაციო კოდი N204525585

ირაკლი გვარამაძე
შემოსავლების სამსახურის
უფროსი

„აღსრულების ეროვნული ბიურო“

სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო
ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი N205263873

ვლადიმერ გურგენიძე
აღსრულების ეროვნული ბიუროს
თავმჯდომარე